ყველაზე მეტად თქვენთვის რაც მაშინებს - ეს პატარა შირქია», იქ მყოფებმა იკითხეს: ო, ალლაჰის შუამავალო, რა არის პატარა შირქი? თქვა: «რია

მაჰმუდ იბნ ლაბიიდ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ყველაზე მეტად თქვენთვის რაც მაშინებს - ეს პატარა შირქია», იქ მყოფებმა იკითხეს: ო, ალლაჰის შუამავალო, რა არის პატარა შირქი? თქვა: «რია (სხვის დასანახად შესრულებული ქმედება), განკითხვის დღეს, როცა ყველა ადამიანი თავის ნამოქმედარის საფასურს მიიღებს უზენაესი ალლაჰი იტყვის: "წადით იმათთან, ვის დასანახავადაც აკეთებდით იმქვეყნად ქმედებებს, და ნახეთ, მოიპოვებთ თუ არა მათგან რაიმე საზღაურს"!»

[კარგი (ჰასან)] [გადმოსცა აჰმადმა]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ყველაზე მეტად მისი უმმათისთვის რაც აშინებს ეს არის პატარა შირქი, რია: ადამიანების დასანახად შესრულებული ქმედება. შემდეგ მან ისაუბრა აღსასრულის დღეს იმ ადამიანების სასჯელზე, ვინც კეთილ საქმეებს თვალთმაქცურად აკეთებდა. მათ ეტყვიან: "წადით მათთან, ვისთვისაც თქვენ ასრულებდით ამ საქმეებს, და ნახეთ, შეუძლიათ თუ არა მათ, მოგცენ რაიმე საზღაური ამისთვის!"

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/3381